

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



**„კატასტროფის მაღისინის სენსიტივის“ ხელშეწყობის სპილი ირაკლი ქორიძე ნარკოტიკების შემოტანის ორგანიზაციის ბრალდებით დააკავეს**

**29 მარტიდან**

ავთანდილ ბუხრაშვილი

**მუდრო აბრამის საიდუმლოება**



**ფასი გაზაფხულზე ერთად 5 ლარი**

შაბათი – კვირა, 31 მარტი – 1 აპრილი, 2018

№76 (7621)

ფასი: 50 თეთრი

## „არ უნდოდა კვირიკაშვილს რბილად წასვლა? ახლა წასოს, ხისტად წასვლა როგორ ხდება!“



მთავრობაში ისევ ცვლილებებია – ზურაბ ალავეიძე მანია ცქიტიშვილმა შეცვალა



**ივანიშვილი პრემიერობისთვის ღვაწი ვასაკენ ამზადებს?**

**შიდა ქართლის გუბერნატორმა, კახა სამხარაძემ თანამდებობა დატოვა. აღნიშნულ ინფორმაციას სამხარეო ადმინისტრაციაში ადასტურებენ.**



„კურიერის“ ინფორმაციით, კახა სამხარაძე სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად გადაწყვეტ. ხოლო შიდა ქართლის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე გახდება, რომელიც ამ დრომდე სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი იყო. გავრცელებული ინფორმაციით, ხვალ პრემიერს გორის თეატრში ელოდებიან. საგარეო უწყებები, პრემიერი კვირიკაშვილი გორის მერს „ქართული ოცნების“ გორის ორგანიზაციის თავმჯდომარედ დანიშნავენ.



**სამართალი** **აპ.7**

**გუნებრივი აირით 4 თვის ჩვილი და ორი ქალი მოინახლა**

**აღმნიანით ვაჭრობაში ბრალდებულ უზბეკეთის მოქალაქეს 12 წელი მიუსაჯეს**

**ზურაბ ბაქრაძე გირაოს საფუძველზე ბათივისუფლად**

**გუბაშვილი უს შინისტრთან შეხვედრას იტხოვს**

**ეკონომიკა** **აპ.6**

**სამართლებლოში თამბაქოს მოხმარების შედეგად განეულმა ხარჯებმა 825 მლნ ლარი შეადგინა**

**მოსალოდნელია თუ არა რუსეთის მორიგი ეკონომიკური ეგზარგო**

**შიდა ფრანგულმა შეწყვეტილი ხელშეკრულება და იმავი პირთან გაფორმებული ახალი კონტრაქტი**

**2** „დასაფასებელია, რომ სამართლებლო ხელისუფლებამ დასაპატიმრებელი სოლიდარობა დიდი რისკის ფონზე გამოავლინა“

ISSN 1987-9385  
9 771987 938006

**2** 13 წლის მოზარდმა თავდასხმედ 22 წლის აზერბაიჯანელს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

**4** კახა ქუჩაძე: „ქალაქი დოლიძეა ხელიშეხებით არ უნდა დადიოდეს“

**2** რა ვისით კომპანიის ვაშლიყვანი-გაღმართის გაშვების დამაკაპშირებელი ენობადას ააშენებს

**5**













### ტრამპი ლატვიის, ლიბონისა და ესტონეთის ხელმძღვანელებს მიიღებს

3 აპრილს ვაშინგტონში აშშ-ისა და ბალტიის ქვეყნების სამიტი ჩატარდება. ის მთლიანად ლატვიის, ლიბონისა და ესტონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავს მიეძღვნება. სამიტი ძირითადად განიხილავს ლატვიის, ლიბონისა და ესტონეთის მიღწევებს. ამის შემდეგ ბალტიელთა ხელმძღვანელებს თავად პრეზიდენტი ტრამპი მიიღებს. მოლაპარაკებების ძირითადი თემა აშშ-ბალტიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა იქნება. განსაკუთრებული ყურადღება კი უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას დაეთმობა.



### რუსეთიდან ამერიკელ დიპლომატებს აქვთ განცხადება



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთიდან ყველა იმ ქვეყნის დიპლომატებს გააძევენ, რომლებმაც რუსეთის სკრიპალის მონაშთი დასაძვინტერესებლად და რუსი დიპლომატები გააძევეს. — ეს ჩვენი ადეკვატური პასუხია, — ამბობს ლავროვი. რუსეთიდან 60 ამერიკელ დიპლომატს გააძევენ. დაიხურება აშშ-ის გენერალური საკონსულო სანკტ-პეტერბურგში. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ რუსეთი ტყუილად ცდილობს, თავი რაღაც შეთქმულების მსხვერპლად წარმოაჩინოს. — რეალური მსხვერპლი ისინი არიან, ვინც სოლსბერიში მონაშთს, სირიაში ან დონბასში იღუპებიან, — ნათქვამია განცხადებაში.

### სარკოზი სასამართლოს წინაშე წარდგება

საფრანგეთის ექსპრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი სასამართლოს წინაშე წარდგება. სარკოზის ბრალად კორუფცია და თანამდებობის ბოროტად გამოყენება ედება. ბრალდება ასევე წაუყენეს სარკოზის ადვოკატ ტიერ ერზოგსა და ყოფილ პროკურორ ფილბერ აზიბერს.



### ნაღებულ საჩივრო პატიმრობაში დატოვებს



სააპელაციო სასამართლომ ნაღებულ საჩივრო წინასწარ პატიმრობაში დატოვა. ის გისოსებს მიღმა 20 მისამდე დარჩება. საჩივროს გათავისუფლების თაობაზე ხელისუფლებას თხოვნით მიმართა ცნობილმა დისიდენტმა და უკრაინის გმირმა სტეპან ხმარამ, აგრეთვე უკრაინის სტამბა ირმა კრატამ. — მზად ვარ, საჩივრო პირადი მეურვეობის ქვეშ ავიყვანო, — თქვა ხმარამ. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ექსპრეზიდენტი წინასწარ პატიმრობაში დატოვა. ექსპრეზიდენტის აზრით, საჩივროს, როგორც პოლიტიკოსს, მომავალი არ აქვს. — ის უკვე პოლიტიკური ლე-

შია, — მიიჩნევს პოლიტოლოგი ვიტალი პორტნიკოვი.

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ საჩივროს მომხრეთა მცირე ჯგუფი (15 კაცის ოდენობით) პროკურატორის რეზიდენციისაკენ გაემართა. ისინი სკანდირებდნენ: „თავისუფლება ნადიას!“ „საჩივრო ეროვნული გმირია!“ და ა.შ.

### დონბასში ალდგომის წინ ცხახლი შეწყდა

ნორმანდიული ოთხეულის (რუსეთი, უკრაინა, გერმანია, საფრანგეთი) წარმომადგენლებმა დონბასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ნორმანდიული ოთხეულის ხელმძღვანელები მიესალმებიან საალდგომო სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის ძალითაც ალდგომის დღესასწაულებზე ცეცხლი უნდა შეწყდეს. რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და უკრაინის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ უახლოეს შეხვედრაზე დეტალურად განიხილავენ დონბასში მშვიდობის აღდგენისა და მინსკის ხელშეკრულებების სრულად ამოქმედების საკითხს.



### სკრიპალის ქალიშვილის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა

გრუს ყოფილი ოფიცრის სერგეი სკრიპალის მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ექიმები მას ახასიათებენ, როგორც სტაბილურად მძიმეს. სამაგიეროდ, მისი ქალიშვილის, იულიას, ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ექიმების აზრით, თავად სკრიპალი, სავარაუდოდ, იცოცხლებს, თუმცა, შესაძლოა, საშუალოდ გონებასუსტი დარჩეს.

### ჯონ ბოლტონი: „რუსებს აღაქვამური პასუხი უნდა გავცეთ“

აპრილში მუშაობას შეუდგება ჯონ ბოლტონი, პრეზიდენტ ტრამპის ახალი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში. ის ცნობილია, როგორც „ქორი“. ბოლტონის პირველი განცხადებები მართლაც ადასტურებს, რომ ვაშინგტონის პოლიტიკა რუსების მიმართ სულ უფრო ხისტია ხდება. „სქაი ნიუსთან“ ინტერვიუში ბოლტონი გრუს ყოფილი აგენტის სკრიპალის მონაშთის ფაქტზე დაწვრილებით შეჩერდა. მან საზოგადოებას, რომ ტერაქტი ნატოს წევრი ქვეყნის, დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოხდა. გამოყენებული იქნა ქიმიური იარაღი, რაც საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულია.



— ეს სხვა არაფერია, თუ არა აგრესია ნატოს წევრი ქვეყნის, დიდი ბრიტანეთის, ნინა-ალმდე, — ამბობს ტრამპის ახალი მრჩეველი. ნატოს წევრ ქვეყანაზე განხორციელებული თავდასხმა მთელ ალიანსზე თავდასხმას ნიშნავს. ბოლტონმა აღნიშნა, რომ მოსკოვის ნინა-ალმდე მთელი დემოკრატიული სამყარო უნდა დაირაზმოს. — რუსებს ადეკვატური პასუხი უნდა გავცეთ! — თქვა მან. შეკითხვაზე, აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევის საკითხზე რას იტყვიან, ბოლტონმა მიუგო, რომ ჩარევის მცდელობა უდავოა. სხვა საკითხია, თუ რა გავლენა მოახდინა ამან არჩევნებზე და არსებობდა თუ არა კავშირი რუსებსა და ტრამპს შორის. — პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ ბატონმა ტრამპმა არაფერი იცოდა. ყოველივე მისი გვერდის ავლით მოხდა, — ამბობს ბოლტონი. კორესპონდენტის კითხვაზე, ტრამპის საარჩევნო შტაბის ცალკეულ წევრების რუსებთან კონტაქტების თაობაზე რას იტყვიან, ბოლტონმა მიუგო, რომ რუსები ტყუილად, კონტაქტში შესულიყვნენ როგორც ტრამპის, ასევე კლინტონის შტაბის წევრებთან. — მთავარია არა ის, თუ ვინ იყო რუსებთან დაკავშირებული, არამედ ის, რომ რუსეთმა აშშ-

ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევა ცადა, რაც დაუშვებელია, — ამბობს ბოლტონი. აშშ-ის ყოფილი წარმომადგენელი გაეროში ვერშობო მიჩნევს, რომ ბოლტონის ეროვნული უსაფრთხოების დარგში მრჩეველად დანიშნა მიუთითებს ერთზე: ვაშინგტონი რუსების გამოხდომებზე დუმილს არ აპირებს და კრემლის აგრესიულ ქმედებას ადეკვატური პასუხი გავცემა. — ბოლტონის წყალობით რუსებს არაერთი უსიამოვნება ელით, — აცხადებს ვერშობო. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი მატისი ჯონ ბოლტონს შეხვდა. საუბრის შემდეგ მატისმა უკრაინის ტერორისტებს განუცხადა, რომ ბოლტონთან კონსტრუქციული თანამშრომლობის იმედი აქვს. — აქამდე ბოლტონს პირადად არ ვიცნობდი, თუმცა მის შესახებ ბევრი მსმენია, — თქვა მატისმა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ მას და ბოლტონს შორის აზრთა სრული თანხვედრაა. — ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება, — ამბობს მატისი.

### საფრანგეთში აზერბაიჯანელი ჟურნალისტი რაჰიმ ნამაზოვი დაჭრეს

#### მისი მეუღლე მოკლეს

საფრანგეთის ქალაქ ტულუზის მახლობლად უცნობმა პირებმა აზერბაიჯანელი ჟურნალისტი რაჰიმ ნამაზოვის ესროლეს. ინციდენტი კოლომიეს კომუნაში მოხდა. ნამაზოვის მანქანას, რომელშიც ასევე მისი მეუღლე იმყოფებოდა, დაენია სხვა ავტომობილი, საიდანაც სურნალისტს 8-ჯერ ესროლეს. „მამაკაცი ზურგში მძიმედ იყო დაჭრილი. მის მეუღლეს ტყვია თავში მოხვდა. ორივე დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ქალი მოგვიანებით გარდაიცვალა“, — იუწყება ფრანგული მედია. ავტომობილი, რომლიდანაც ბოროტმოქმედები ისროდნენ, შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. რაჰიმ ნამაზოვი, რომელმაც აზერბაიჯანში დენის გამო საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო, ტულუზაში 2010 წლიდან ცხოვრობს.



### თურქეთში ავარიის შედეგად 17 არალეგალი მიგრანტი დაიღუპა



თურქეთში, იგდირის პროვინციაში, ავარიის შედეგად 17 ავღანელი, პაკისტანელი და ირანელი არალეგალი მიგრანტი დაიღუპა. არალეგალები მიკროავტობუსით ყარსში მიემგზავრებოდნენ. მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და განათების ბოძს დაეჯახა, რის შედეგადაც მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. როდესაც მგზავრებმა მანქანიდან გადმოსვლა დაიწყეს, მათ დიდი სიჩქარით მოძრავი მიკროავტობუსი შეეჯახა, რომელსაც ასევე არალეგალი მიგრანტები გადაჰყავდა.

საერთო ჯამში, 2 მიკროავტობუსში 50-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა, 17 მათგანი დაიღუპა, 36 კი დაშავდა. დაშავებულები საავადმყოფოებში არიან გადაყვანილი.

### ბაქოში ტალახის ვულკანი ამოიფრქვა

ბაქოს გარაგადის რაიონში ტალახის ვულკანი ამოიფრქვა. აირანტოკანის ვულკანის ამოფრქვევა დაახლოებით 7 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. მას ცეცხლის ალიც მოჰყვებოდა. ცეცხლის სვეტი კრატერის ზედაპირიდან 100-150 მეტრის სიმაღლეზე აღიშალა. ვულკანური პროცესის პროდუქტები დაახლოებით 2 კმ ფართობზე გავრცელდა. ვულკანის ტერიტორიაზე რადიალური ბზარები გაჩნდა. ვულკანის მიმდებარე ტერიტორია დაუსახლებელია. ტალახის ვულკანი აირანტოკანი ბაქოსა და აფშერონის ნახევარკუნძულის ტალახის ვულკანების დაცულ ტერიტორიაზე მდებარეობს. აქ პირველი ამოფრქვევა 1964 წლის ოქტომბერში მოხდა. ბოლოს ვულკანი 2008 წელს გააქტიურდა.











„მხოლოდ ქართული“ იწყება



2 აპრილიდან ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე ახალი მუსიკალური გადაცემა „მხოლოდ ქართული“ იწყება. პროექტის ფიურის წევრებმა გიორგი უშიკიშვილმა, მარინა ბერიძემ და სოფო ნიჭიერმა მთელი საქართველო შემოიარეს და შოუს წამყვანებთან ილო ბეროშვილთან და ნიკა გრიგოლისთან ერთად ყველაზე ნიჭიერი კონკურსანტები შეარჩიეს. კონკურსანტებისთვის მთავარი მოთხოვნა მხოლოდ ქართული სიმღერის შესრულებაა. არაერთი ნიჭიერი მომღერლიდან ფიურამ მხოლოდ საუკეთესო ათეული შეარჩია და სწორედ ამ ათი კონკურსანტიდან ერთ-ერთი „მხოლოდ ქართული“ პირველი გამარჯვებული გახდება. „მხოლოდ ქართული“ ყოველ ორშაბათს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გადაიცემა და პირველი სეზონის გამარჯვებული ათი დაძაბული კვირის შემდეგ დასახელდება.

ქეთი დოლიძეს მამაკაცების დაცვა სურს და უზნეო და ბილნი პლაკატებით თბილისის ცენტრში გაავრცელებული გოგონებისა და ქალების პროტესტს აკრიტიკებს: „ლეკვი ლომისა სწორია...“ „...საქართველოს თამარ მეფე ჰყავდა!“

„საქართველოში ქალს პატივს სცემენ!“ ეს არ არის და არ იყო ლიტონი სიტყვები! მე არასდროს მიგრძნია ჩაგვრა, დამცირება, ძალადობა, რადგან თავისუფალ და ძლიერ ადამიანად გამზარდეს! ახლა მე ვაცხადებ! მინდა მამაკაცები დავიცვა! ის ბაკქანალია, რაც აქ დაინყო, წარმოუდგენელია! ამის უკან დიდი ფული დგას! არასდროს შევეგუები იმ უზნეო და ბილნი პლაკატებით თბილისის ცენტრში გაავრცელებული გოგონების, ქალების პროტესტს! რა კავშირი აქვს ამას ან თავისუფლებასთან, ან პატივისცემასთან, ან ადამიანურობასთან! პაპუნა უგრეხელიძე არ უნდა გადამდგარიყო, არა! საიდან ეს სიბოროტე?! იმ ქალბატონს, ვინც ეს დააბრალა, არც ოჯახი აქვს, არც შვილი ჰყავს?! ვინაა საერთოდ?! ქალი ვარ და ასეთი სირცხვილი არ განმიცდია! რას აკეთებთ?! ვისი გეშინიათ?! რა ხდება?! ტრადიციის გათელვა, ბილნისტიყვაობა, უზნეობა ნორმად იქცა?! რუსთავი 2-ის სერიალიდან, ჩვენი ეთერიდან, ფილმები-



დან ამდენი გინება, უკიდევანო ბოროტება როგორ გახდა მისაღები?! ქალები რომ კაცებით იგინებთან, ეს რატომ გახდა მისაღები?! მე თავისუფალი ადამიანი ვარ და ვერ ავიტან ვერავის დაჩაგვრას! დავიცვით ჩვენი მამაკაცები ამ თავსომხვეული, შეკვეთილი აგრესიისგან! ეპი! გეყოფათ!

ქეთევან კიკნაძე: „ალარ მოეშვიტე ამ ნითელი ინტელიგენციის სხენებას?“



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ქეთევან კიკნაძე ქართველი საზოგადოების მხრიდან ნითელი ინტელიგენციის სხენებით განაწყენებულია და მათ მიერ 37 წლის რეპრესიების მონონება აკვირვებს: — 37 წლის რეპრესიების მომხრენო! ალარ მოეშვიტე ამ ნითელი ინტელიგენციის სხენებას? თქვენ იმ ბოლშევიზმის ნარჩენები ხართ, რომლებიც ხალხს ხვრეტდნენ, მოსპეს საუკეთესო ადამიანები. ვინც ინტელიგენციის რიგებში ვერ შეაღწია, მისთვის არის მიუღებელი ეს ინტელიგენცია. ინტელიგენციის წარმომადგენელია ის, ვინც ქვეყნისთვის რამე სასარგებლო შექმნა და ეს ქვეყანა მოიტანა, ხოლო კომპოლიტიზმს არ გაემიჯნა, რადგან მისი წარმომადგენლები სამყაროს შვილები არიან, მაგალითად, შექსპირი, შილერი, გოეთე, ბაირონი, ძალიან ბევრი, ჩამოთვალაც კი ძნელია, იმდენი არიან. ასე რომ, ეს ის დაბოლილი უცოდინრები მხოლოდ შებრალების ღირსნი არიან, ჩემო კარგებო. იარეთ ღამის კლუბებში, მეტი არაფერი გვინდა? პატივს ვინც არ სცემს თავის წარსულსა და ისტორიას, მას თავისი ქვეყანა არ ეყვარება და ვერც ვერაფერს შექმნის. ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ მაინც ვიტყვი, კარდიოლოგთან მივით გულზე ჭვალის მოსახსნელად, ვისაც გეხებათ, ამას გირჩევთ, 37 წლის რეპრესიების მომხრენო.

კამბურგში ეროვნული სიმფონიური ორკესტრის კონცერტის ბილეთები 2 დღეში გაიყიდა



კომპოზიტორის გია ყანჭელისა და სერგეი რახმანინოვის ნაწარმოებები, გაიმართება ნიკოლოზ რაჭველის სიმფონიური ორკესტრის პრემიერა. მსოფლიოს პირველი კლასის საკონცერტო დარბაზების სიას ჰამბურგის ახლადგახსნილი საკონცერტო დარბაზი გასულ წელს შეემატა. შევიცარიული კომპანიის მიერ შექმნილი შენობის უნიკალური არქიტექტურისა და მდებარეობის გამო კონცერტებზე დასწრების მსურველთა რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, ბილეთის ყიდვა თვეებით ადრეც კი შეუძლებელია. გიგანტური აგურის საძირკველზე ნაშენი შუშის შენობას სამი მხრიდან ქალაქის მდინარე ესაზღვრება. 850 მილიონად ღირებული დარბაზი, რომელიც 10 წლის განმავლობაში შენდებოდა, იაპონური კომპანიის მიერ შექმნილი უნიკალური აკუსტიკით ხასიათდება. ერთი წლის განმავლობაში საკონცერტო დარბაზში 2 მილიონამდე მსმენელს უმასპინძლა. 2 აპრილს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის კონცერტით გაიხსნება 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში დაგეგმილი მუსიკალური პროგრამაც, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გერმანიის სხვადასხვა ქალაქში იქნება წარმოდგენილი.

2 აპრილს ეგვენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ჰამბურგის ცნობილ საკონცერტო დარბაზში დაუკრავს. კონცერტის ბილეთები 2 დღეში გაიყიდა. ჰამბურგის ახლადგახსნილი საკონცერტო დარბაზში საერთაშორისო ფესტივალ „კავკასიას“ ეგვენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით დაუკრავს. ფესტივალის ორგანიზატორების მიწვევით, ეროვნული ორკესტრი გამართავს კონცერტს, რომლის სოლისტიც გერმანიაში მოღვაწე ქართველი პიანისტი დუდანა მაზმანიშვილი იქნება. მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ დარბაზში ქართული სიმფონიური ორკესტრი სრული შემადგენლობით პირველად დაუკრავს. შესრულდება ლეგენდარული ქართველი

იკაროსის ბარელიეფი დაგვიჩვენებს

1976 წელს შექმნილი იკაროსის ბარელიეფი, რომელიც თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზეა განთავსებული, დამტკრებულია. იკაროსის გამოსახულება თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო საბჭოთა ნამუშევრად არის აღიარებული. უცხოურმა გამოცემებმა ის საბჭოთა მოდერნიზმის არაჩვეულებრივ ხელოვნებად შეაფასეს, სტატიებიც მიუძღვნეს და ბეტმენიც კი უწოდეს. იმისათვის, რომ იკაროსის ბარელიეფზე არსებული ლითონი ჯართში ჩაებარებინათ, დაუდგენელმა პირებმა ნამუშევარი დაამტკრეს. იკაროსის დამტკრებული შენობა უცხოელმა ჰელენ ველიუქსმა შენიშნა და გულისტკივილით აღნიშნა, რომ რამდენიმე ლარის გამო უღამაზესი ნამუშევარი ჯართის მოპოვების წყაროდ იქცა: — გულდასაწყვეტია, რომ ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა ნამუშევარი განადგურებულია. რატომ? რისთვის? ჯართის სახეცვლოდ რამდენიმე ლარის მისაღებად.




რობერტ სტურუა 80 წლის იუბილს მოსკოვის თეატრის ბასტროლებით აღნიშნავს



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ რობერტ სტურუასთვის საიუბილეო წელია. რეჟისორს ზაფხულში 80 წელი უსრულდება. მასტრომ გადაწყვიტა, რომ იუბილესთვის თბილისში მოსკოვის თეატრი „ეტ ცეტერა“ მოეწვია, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე კალიაგინია. 31 მარტსა და პირველ აპრილს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება გოგონის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „რევიზორი“. კომედიაური ჟანრის სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუაა. წარმოდგენის პრემიერა მოსკოვში გასულ წელს გაიმართა. სპექტაკლისთვის კოსტიუმები მხატვარმა ანა ნინუამ შექმნა. „რევიზორში“ ჟღერს გია ყანჭელის, ჯუზეპე ვერდის, ფრანც შუბერტის, დუკელინგონის, ასტორ პიაცოლასა და კშიშტოვ პენდერეცკის მუსიკა. „ეტ ცეტერას“ მსახიობებთან ერთად, სპექტაკლში მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსეთის სახალხო არტისტი ალექსანდრე კალიაგინიც მონაწილეობს.

კინორეჟისორი ბიძინა რაჭველიშვილი ბარდაიხვალა

კინორეჟისორი ბიძინა რაჭველიშვილი 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის მიერ გადაღებული ფილმებიდან აღსანიშნავია „ლომა“, „ლომა, დავიწყებული მეგობარი“, „ლახტი“, „კაცები“, „ბაკულას ღორები“. ყველა ამ ფილმის რეჟისურასთან ერთად, ბიძინა რაჭველიშვილი სცენარისტიც იყო. კინორეჟისორის შემოქმედების სავიზიტო ბარათი კინოფილმი „ლომა“ იყო. როგორც მხატვარმა ნიკა ჯაფარიძემ განაცხადა, ბიძინა რაჭველიშვილს 31 მარტს დაკრძალავენ.



მამაზადა კვა ირემაშვილი



